



თემატურიჯგუფი - "ხარისხის მართვა პროფესიულ განათლებაში"

თემატურიჯგუფის სხდომის ოქმი №13

22 მარტი, 2012
თბილისი

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

თარიღი	ადგილი	დასაწყისი	დასასრული
22 მარტი, 2012	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	16:00	17:00

დღის წესრიგი
1. დღის წესრიგის განხილვა
2. წინა სხდომის ოქმის დამტკიცება
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების არსებული პოლიტიკის ანალიზი
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის შედეგების განხილვა
5. სტუდენტებისა და პოტენციური სტუდენტებისათვის სხვადასხვა საგანმანათლებლო საფეხურზე გადასვლის შესაძლებლობების შესწავლის მიზნით პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების (შპს "შავნაბადა", შპს "დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა-კოლეჯი") გამოცდილების განხილვა

მონაწილეები			
სახელი, გვარი	დაწესებულება, თანამდებობა	ელექტრონული ფოსტა, ტელეფონი	სტატუსი
მარინა ჟვანია	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი/საგანმანათლებლო პროგრამებისა და	marina.zhvania@eqe.ge 577 27 88 41	წევრი

	განათლების აღიარების სამსახურის უფროსი		
კოტე ჩოკორაია	სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი	kote.chokoraia@eqe.ge 577 27 88 83	წევრი
ლალი შაიშმელაშვილი	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი/საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის უფროსის მოადგილე	Lali.shaishmelashvili@eqe.ge 577 27 88 49	წევრი
ქეთევან ფანჩულიძე	სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის საგანმანათლებლო პროგრამების სამმართველოს უფროსი	k.panchulidze@eqe.ge 577 27 88 43	მონაწილე
ნანი დალაქიშვილი	სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი/საგანმანათლებლო პროგრამებისა და	nani.dalakashvili@eqe.ge 577 17 55 77	წევრი

	განათლების აღიარების სამსახურის სპეციალისტი		
ლალი ლოლელიანი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, დეპარტამენტის უფროსი, პროფესიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი, სრული პროფესორი	lali_gtu@gtu.ge 599 70 44 99	წევრი
ანა მჭედლიშვილი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, პროფესიული და ინკლუზიური განათლების განვითარების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი	a.mchedlishvili@mes.gov.ge 577 15 33 05	წევრი
ანი ქიტიაშვილი	ETF პროექტის - ”პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება საქართველოში” - ეროვნული კოორდინატორი	kitiashvili@yahoo.com 577 53 00 63	წევრი
მაკა კორძაძე	სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი/საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების	Maka.kordzadze@eqe.ge 577 27 88 21	წევრი

	სამსახურის სპეციალისტი		
მაია ჩიხლაძე	საზოგადოებრივი კოლეჯი "პანაცეა"/დირექტორის მოადგილე	chikhladzemaia@yahoo.com 577747444	წევრი
ნინო ჟვანია	სსიპ - ილიას უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის უფროსი	Nino,zhvania@iliauni.edu.ge 577 55 64 88	წევრი
მათე ტაკიძე	თბილისის ტურიზმის პროფესიული კოლეჯი „იკაროსი“, დირექტორი	takidze@rambler.ru 577768866	წევრი
ნინო კოპალეიშვილი	სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს უფროსი	nkopaleishvili@yahoo.com 577 15 33 01	მონაწილე

შედეგები/კომენტარები/წინადადებები

1. დღის წესრიგის განხილვა

დასკვნები და ქმედებები:

დამტკიცდეს სხდომის დღის წესრიგი დამატებების გარეშე

2. წინა სხდომის ოქმის (ოქმი №12. 29.02.2012) დამტკიცება

დასკვნები და ქმედებები:

დამტკიცდეს წინა სხდომის ოქმი - ოქმი თან ერთვის

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების არსებული პოლიტიკის ანალიზი

რეზიუმე:

ETF-ის პროექტის "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება საქართველოში" ეროვნულმა კოორდინატორმა ანი ქიტიაშვილმა დამსწრეებს გააცნო პროექტის ფარგლებში მომზადებული ანალიზი, რომლის მიხედვითაც პროფესიული პროგრამების შემუშავების მიმოხილვა გაკეთდა ორი პროფესიის მაგალითზე: ბუღალტერია და ელექტრომექანიკოსი. ბუღალტრის პროგრამას ახორციელებს 10 საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულება 247 სტუდენტით, ხოლო ელექტრომექანიკოსს 11 საჯარო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება 176 სტუდენტით. საქართველოში არ არსებობს ეროვნული საგანმანათლებლო პროგრამები, პროგრამების შემუშავების პროცესი დეცენტრალიზებულია და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებები პროგრამის შემუშავებისას ეყრდნობიან შემდეგ დოკუმენტებს: ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო, პროფესიული სტანდარტი და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული პროფესიული პროგრამის სარეკომენდაციო ჩარჩო. პროფესიული პროგრამა დაფუძნებულია სწავლის შედეგებზე და გათვლილია კრედიტებში. პროფესიული განათლება ხუთსაფეხურიანია და თითოეული საფეხურის დასრულების შემდეგ გაიცემა

პროფესიული დიპლომი. ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებები პროგრამებს იმატებენ თვითშეფასების პროცედურით. პროფესიული პროგრამის ძირითადი კომპონენტებია:

- პროგრამის დასახელება
- მისანიჭებელი კვალიფიკაცია
- პროგრამის მოცულობა
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობა
- სწავლის შედეგები
- სწავლის შედეგების რუკა
- სასწავლო გეგმა
- პროფესიული სტუდენტის შეფასება
- სწავლების მეთოდები
- ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ
- სწავლის შესაძლებლობები

სწავლის შედეგების აღწერა ხდება პროფესიული სტანდარტის საფუძვრების კვალიფიკაციის აღმწერის მიხედვით. კერძოდ: ცოდნა და გაცნობიერება, ცოდნის პრაქტიკული გამოყენება, დასკვნის გაკეთების უნარი, კომუნიკაციის უნარი, სწავლის უნარი, ღირებულებები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებებისათვის პროგრამების მომზადების პროცესში პრობლემაა სწავლის შედეგების ზუსტად გაწერა, ასევე სტუდენტთა შეფასების კრიტერიუმები. (პრეზენტაცია და სრული ანალიზი ოქმს თან ერთვის)

რეკომენდაციები:

- არსებული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მეთოდოლოგია/პრაქტიკა უნდა იქნეს შეფასებული იმისათვის, რომ განისაზღვროს, თუ რამ იმუშავა და რა არის საჭირო რომ შეიცვალოს ან გაუმჯობესდეს.
- იმ მექანიზმების განვითარება, რომლებიც საჭიროა სწავლის შედეგების ხარისხის გაუმჯობესებისათვის, საგანმანათლებლო პროგრამის დასასრულისას უნდა იქნეს უზრუნველყოფილი სტანდარტიზებული კვალიფიკაციების მიღწევა;
- საჭიროებების დადგენა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების უზრუნველყოფა შესაბამისი ტრენინგებით/ვორკშოპებით. რომ ხელი შეეწყოს მათი შესაძლებლობების გაზრდას საგანმანათლებლო პროგრამების/სილაბუსების განვითარებაში, ასევე მათ განხორციელებაში.

- რეკომენდებულია, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების საუკეთესო პრაქტიკა იდენტიფიცირებული, შესწავლილი და განვრცობილი იქნას.
- ხელი შეუწყოს ინფორმაციის გაცვლას და პროფესიული განათლების პროვაიდერებს შორის კარგი პრაქტიკის გავრცელებას საგანმანათლებლო პროგრამების დიზაინისა და განხორციელების თვალსაზრისით

შენიშვნები:

მოსაზრებები გამოთქვეს მარინა ჟვანიამ, ლალი შაიშმელაშვილმა, ნინო კოპალეიშვილმა, რომელთა აზრით ექსპერტის მიერ გამოთქმული რეკომენდაციები მისაღებია და იმედია ETF პროექტის- "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება საქართველოში" - ფარგლებში ბულალტრის და ელექტრომექანიკოსის მაგალითზე მოხდება პროგრამების შემუშავების მეთოდოლოგიის დახვეწა და შემდგომი ადაპტირებისთვის რეკომენდაციების შემუშავება.

დასკვნები და ქმედებები:

- მიღებულ იქნას ექსპერტის მიერ მომზადებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების არსებული პოლიტიკის ანალიზი
- ანალიზის და რეკომენდაციების საფუძველზე სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების სამსახურის მიერ შემუშავდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მომზადების რეკომენდაციები, რომელიც განთავსდება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებ-გვერდზე

4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის შედეგების განხილვა

რეზიუმე:

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის

ავტორიზაციის სამმართველოს უფროსმა კოტე ჩოკორაიამ დამსწრეებს გააცნო 2010-2012 წლებში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესის შედეგები. ისაუბრა ამ პროცესების საკანონმდებლო და მარეგულირებელ საფუძვლებზე და წარმოადგინა შესაბამისი სტატისტიკა. (ანგარიში ოქმს თან ერთვის).

შენიშვნები:

ქეთევან ფანჩულიძემ და ნანი დალაქიშვილმა ავტორიზაციის ექსპერტული ვიზიტების გამოცდილებიდან და თვითშეფასების ანგარიშების მონიტორინგის პროცესიდან გამომდინარე გამოთქვეს მოსაზრებები:

- სასურველია საგანმანათლებლო დაწესებულებებში მეტი ყურადღება მიექცეს პროგრამის განხორციელების შეფასების ეფექტური სისტემის ჩამოყალიბებას. გარდა საყოველთაოდ გავრცელებული სტუდენტთა გამოკითხვის ანკეტებისა, დაწესებულებები უნდა შეეცადონ სხვა მექანიზმების გამოყენებას. კერძოდ, სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის პრაქტიკა (მასწავლებლები, მშობლები, დამსაქმებლები, სხვა სოციალური პარტნიორები), მასწავლებლების შეფასება „თანასწორების“ მიერ (peer review) და სხვა.
- უნდა გამხორციელდეს მონიტორინგი პრინციპისა: “დაგეგმე-განახორციელე - შეამოწმე- განავითარე”
- ხარისხის მართვის საორგანიზაციო სტრუქტურის სრულყოფის მიზნით დაწესებულებებში უნდა ჩამოყალიბდეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ან რაიმე სხვა სტრუქტურული ერთეული ან თუნდაც დაინიშნოს ხარისხზე პასუხისმგებელი პირი (მცირე დაწესებულებების შემთხვევაში)
- დაწესებულების ხარისხის მართვის ეფექტური სისტემის არსებობისათვის აუცილებელია, რომ ხარისხის უზრუნველყოფაში, მათ შორის ავტორიზაციასთან დაკავშირებულ აქტივობებში, ჩართული იყოს არა 1-2 ადამიანი, არამედ მთელი პერსონალი.

მარინა ჟვანიამ აღნიშნა, რომ ძალიან ეფექტური იყო 2011-2012 წლებში სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული ტრენინგები, მათ შორის პროგრამების მენეჯერების, ხარისხის მენეჯერებისა და შიდა შემფასებლებისათვის ჩატარებული ტრენინგები, ასევე საინფორმაციო შეხვედრები. რაც შეეხება დამსაქმებლებთან ურთიერობას, ცენტრის კოორდინაციით მუშაობენ დარგობრივი კომიტეტები, სადაც პროფესიულ სტანდარტებთან ერთად

მიმდინარეობს პროფესიული პროგრამების შემუშავების საკითხებზე მსჯელობა.

დასკვნები და მოქმედებები:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის შედეგები ცნობად იქნას მიღებული
- გაგრძელდეს თანამშრომლობა კონსულტირების რეჟიმში ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მსურველ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.

5. სტუდენტებისა და პოტენციური სტუდენტებისათვის სხვადასხვა საგანმანათლებლო საფეხურზე გადასვლის შესაძლებლობების შესწავლის მიზნით პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების (შპს "შავნაბადა", შპს "დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა-კოლეჯი") გამოცდილების განხილვა
რეზიუმე:

ნანი დალაქიშვილი წარმოადგინა ინფორმაცია, რომელიც ასახავს სტუდენტებისა და პოტენციური სტუდენტებისათვის სხვადასხვა საგანმანათლებლო საფეხურზე გადასვლის შესაძლებლობების შესწავლის მიზნით ორი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების (შპს "შავნაბადა", შპს "დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა-კოლეჯი") გამოცდილებას, სადაც მოხდა ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული განათლების კომპონენტების გაერთიანება. შპს "შავნაბადა" და შპს "დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა-კოლეჯი" 2007 წლიდან 2010 წლის სექტემბერში განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებამდე ფუნქციონირებდნენ როგორც სახელობო სასწავლებლები და პარალელურად ჰქონდათ ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის უფლება, ამდენად ჰყავდათ მოსწავლეები, რომლებიც პარალელურად სწავლობდნენ ორივე პროგრამაზე. საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების შემდეგ შეიცვალა ამ სასწავლებლების ორგანიზაციული სტრუქტურა, მათ გაიარეს ავტორიზაცია როგორც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებმა, რომლებიც დამატებით ახორციელებენ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. საინტერესოა მათი ადრინდელი და მიმდინარე გამოცდილების შედარება. შპს პროფესიული სწავლების ცენტრი "შავნაბადა" 2009 წლის 13 აპრილს მიღებული ლიცენზიის საფუძველზე ახორციელებდა 12 სახელობო პროგრამას, სასწავლებელი აღჭურვილი იყო სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, სტუდენტთა პრაქტიკა ხორციელდებოდა შესაბამისი პროფილის საწარმოებში. მცირე კონტინგენტის და შესაბამისად, მწირი შემოსავლების გამო მატერიალური ბაზის რეაბილიტაციისა და აღჭურვისათვის პროფესიული სწავლების ცენტრს ბანკიდან კრედიტის აღება მოუხდა, პრობლემა იყო ყოველთვიური საიჯარო თანხის გადახდა და ამ პრობლემებიდან გამომდინარე ჭირდა დირექციისა და ინსტრუქტორ-მასწავლებლებისთვის ხელფასის გადახდა. 2011 წლის 19 აგვისტოს ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით შპს "შავნაბადას" უფლება მიეცა განახორციელოს სხვადასხვა საფეხურის შემდეგი პროფესიული პროგრამები:

- ავტომობილის ძრავის შემკეთებელი
- ავტომობილის სავალი ნაწილის ტექნიკოსი
- ავტომობილის დიაგნოსტიკოსი
- ავტომობილის ზეინკალი
- ავტომობილის მეთუნე-მღებავი.

სკოლის დირექტორის ინფორმაციით, პარალელურ რეჟიმში ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებით შპს დამოუკიდებელ საერო სკოლა-გიმნაზია "შავნაბადას" გაუადვილდა ფუნქციონირება . კერძოდ,

- აღარ არის საჭირო იჯარის გადახდა
- შენობა და მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მთლიანად ემსახურება ორივე კატეგორიის სტუდენტებსა და მოსწავლეებს
- დირექციას და ადმინისტრაციას შეუთავსდა ორივე ფუნქცია და ამდენად აღარ არის საჭირო დამატებითი სახელფასო ფონდი
- გაიზარდა მშობელთა დაინტერესება პროფესიული განათლების მიმართ, გიმნაზიაში ჩატარებულმა მშობელთა გამოკითხვამ დაადასტურა, რომ მშობელთა უმრავლესობა დაინტერესებულია შვილს ზოგად განათლებასთან ერთად პარალელურად მისცეს პროფესიული განათლებაც.
- სკოლები, რომლებიც ზოგად განათლებასთან ერთად მოსწავლეებს პროფესიულ განათლებასაც სთავაზობენ, უფრო პრესტიჟული და მიმზიდველია, თუმცა სასწავლო პროგრამების არჩევისას სკოლამ უნდა გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები.

ასევე, წარმოდგენილ იქნა შპს "წმიდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიანი სკოლა-კოლეჯის" დირექტორის (ირინე ზედგენიძე) მიერ მოწოდებული ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც მათ კოლეჯში მეათე-მეთერთმეტე კლასების მოსწავლეთათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის არჩევითი და დამატებითი საგნების კომპონენტის ფარგლებში, XII კლასში კი პროფესიული პროგრამა ხორციელდება ეროვნული სასწავლო გეგმის პარალელურად.

დირექტორის ინფორმაციით,

1. X, XI კლასებში ზოგადი განათლების პროფესიულ განათლებაში ინტეგრირება შესაძლებელია:
 - ა) არჩევითი და დამატებითი სავალდებულო საგნების საათების სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამის საათობრივ ბადეში ასახვით.

აღნიშნული საათები შესაბამისობაშია სავალდებულო საათების რაოდენობასთან და არ აღემატება აუცილებელი კვირეული დატვირთვის ოდენობას

ბ) ასეთი წესით შერჩეული არჩევითი და სავალდებულო დამატებითი საგნების საათების ოდენობა ძირითადად შესაბამისობაშია პროფესიული პროგრამების (I, II) სასწავლო გეგმასთან, რაც გვამლევს საშუალებას არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პირობებისა და წესის გამოყენებით ვუღიაროთ I და II საფეხურის ფარგლებში პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნა, უნარი და ღირებულება.

2. XII კლასში სასწავლო პროცესი პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობს: სკოლა + III საფეხურის პროფესიული პროგრამა.

თვალსაჩინოებისათვის წარმოდგენილ იქნა სასწავლო გეგმებიც. (ოფის მენეჯერის III საფეხურის პროფესიული პროგრამის მაგალითზე).

ასეთი ტიპის სკოლა მოსწავლეს აძლევს:

ა) სკოლის ფარგლებში სპეციალობის სწორი არჩევანისა და დაგეგმვის საშუალებას;

ბ) სამუშაო ბაზარზე სწრაფ დასაქმებას;

გ) XII კლასის საატესტატო გამოცდების ჩაუბარებლობის შემთხვევაში საშუალო საფეხურის დასრულების ცნობის მიღებას. სურვილის შემთხვევაში, მომდევნო წელს მოსწავლეს საშუალება აქვს ჩააბაროს საატესტატო გამოცდები, რასაც ვერ უზრუნველყოფს საბაზო განათლება).

დ) წარმატებული კურსდამთავრებული სწავლის დასრულების შემდეგ იღებს საშუალო განათლების ატესტატს და იმავდროულად სპეციალობაში მინიჭებული კვალიფიკაციის შესაბამის პროფესიულ დიპლომს.

შენიშვნები:

მარინა ჟვანიას მოსაზრებით, სასურველია, შესწავლილ იქნას და გაანალიზდეს ყველა იმ სკოლის გამოცდილება, ვინც პარალელურ რეჟიმში ახორციელებს ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიულ პროგრამებს.


დასკვნები და მოქმედებები:

- შესწავლილ იქნას და გაანალიზდეს ყველა იმ სკოლის გამოცდილება, რომლებიც პარალელურ რეჟიმში ახორციელებენ ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიულ პროგრამებს .

დანართი 1

**პროფესიული
საგანმანათლებლო
პროგრამების შემუშავება
საქართველოში**

*ანასტასია ქიტიაშვილი
ETF პროექტი
კოორდინატორი*



პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება საქართველოში

პრეზენტაცია ეფუძნება პროფესიული
საგანმანათლებლო პროგრამების მიმოხილვას
ორ სფეროში: ბულალტერია და ელექტრიკოსი
(ელექტრო მექანიკოსი)

2

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება საქართველოში

პროგრამების ხანგრძლივობა
საფეხური II-30 კრედიტი
საფეხური III-45 კრედიტი

ბულალტერიის პროგრამა ისწავლება 10 პროფესიულ
საგანმანათლებლო დაწესებულებაში; ირიცხება
247 სტუდენტი

ელექტრიკოსის (ელ. მექანიკოსის) პროგრამა
ისწავლება 11 პროფესიულ საგანმანათლებლო
დაწესებულებაში; ირიცხება 176 სტუდენტი.

3

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება საქართველოში

- ▶ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისადმი მიდგომა საქართველოში დეცენტრალიზებულია.
- ▶ მიდგომა მხარდაჭერილია 2010 წლიდან, როდესაც საქართველოს კანონში პროფესიული განათლების შესახებ შესაბამისი ცვლილებები შევიდა

4

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება საქართველოში

- ▶ საქართველოში არ არსებობს ერთიანი საგანმანათლებლო პროგრამები ეროვნულ დონეზე;
- ▶ საგანმანათლებლო ინსტიტუტები პასუხისმგებლები არიან საკუთარი პროგრამების შემუშავებაზე შემდეგი დოკუმენტების საფუძველზე: ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო (NQF), პროფესიული სტანდარტები (OS) და საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების სარეკომენდაციო ჩარჩო.

5

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება საქართველოში

- ▶ საქართველოში გამოყენებული საგანმანათლებლო პროგრამების მოდელი უფრო მეტად ტრადიციულ მიდგომას შეესაბამება;
- ▶ პროგრამები შედგება საგნებისაგან;
- ▶ კანონში მითითებულია მოდულები, როგორც საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ერთეულები, თუმცა ამგვარი სტრუქტურა ჯერ არ არის დანერგილი;
- ▶ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ეფუძნება სწავლის შედეგებს და გათვლილი არის "კრედიტში".
- ▶ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტი არ არის სტანდარტიზებულ სასწავლებლებს შორის სექტორის ფარგლებში.

6

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება საქართველოში

- ▶ პროფესიული სასწავლო პროგრამების ხანგრძლივობა დამოკიდებულია კვალიფიკაციის დონესა და სწავლის შედეგებზე.
- ▶ სწავლების მინიმუმ 40 პროცენტი არის პრაქტიკული.
- ▶ პროფესიული განათლების თითოეული დონის დასრულების შემდეგ გაიცემა პროფესიული განათლების დამადასტურებელი დიპლომი.
- ▶ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები მუშავდება პროფესიული განათლების დონის მიხედვით.

7

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება საქართველოში

- ▶ ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს აკისრია ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქცია, რადგან პასუხისმგებელია ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესებზე;
- ▶ თვით-შეფასება არის ხარისხის უზრუნველყოფის ძირითადი შიდა მექანიზმი;
- ▶ კანონის მიხედვით ხარისხის განვითარების შესახებ საგანმანათლებლო ინსტიტუტს არა აქვს პროგრამების განხორციელების უფლება თვითშეფასების ანგარიშის ყოველწლიურად დამტკიცების გარეშე.

8

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება საქართველოში

- ▶ საკანონმდებლო საფუძველი მომზადებულია და დამტკიცებულია ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტები, როგორცაა: ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო, პროფესიული სტანდარტები, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების სარეკომენდაციო ჩარჩო, პროგრამების კრედიტები გათვლის წესი;
- ▶ დაწყებულია ავტორიზაციისა პროცესი თვით-შეფასების პროცესთან ერთად;

9

პროფესიული სტანდარტი

- ▶ პროფესიული სტანდარტი არის დოკუმენტი, რომლითაც განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული განათლების საფეხურები, მათი მინიმალური მოცულობა კრედიტებში და თითოეული საფეხურისათვის სავალდებულო ცოდნა, უნარები და ღირებულებები, ასევე დგინდება პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე დამატებითი მოთხოვნები .

10

სტრუქტურა

- ▶ პროფესიული სფეროს აღწერა
- ▶ დამატებითი მოთხოვნები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მასწავლებლების მიმართ
- ▶ საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია – ეს ნაწილი შეიცავს ინფორმაციას პროგრამებისა და კრედიტების შესახებ(ECVET)
- ▶ პროფესიული კვალიფიკაციის დისკრიპტორები საფეხურების მიხედვით_ ცოდნა და გაცნობიერება, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, დასკვნის გაკეთების უნარი, კომუნიკაციის უნარი, სწავლის უნარი და ღირებულებები.

11

...3

- ▶ საქართველოს პროფესიული სტანდარტები არის პროფესიული და საგანმანათლებლო სტანდარტების ერთობლიობა.

12

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება საქართველოში

- ▶ შემდეგი დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს პროფესიული სასწავლო პროგრამების შემუშავებას არის ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მომზადებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების სარეკომენდაციო ჩარჩო.

13

სტრუქტურა

- ▶ საგანმანათლებლო პროგრამის სათაური
- ▶ პროფესიული განათლების დონე
- ▶ კვალიფიკაცია
- ▶ კრედიტების მოცულობა
- ▶ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა
- ▶ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი
- ▶ სწავლის შედეგები
- ▶ სწავლის შედეგების რუკა
- ▶ სასწავლო გეგმა
- ▶ პროფესიული სტუდენტის დატვირთვა
- ▶ პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება
- ▶ სწავლის და სწავლების მეთოდები
- ▶ ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ
- ▶ ინფორმაცია მატერიალური რესურსების შესახებ
- ▶ სწავლების გაგრძელების შესაძლებლობა.

14

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება საქართველოში

- ▶ პროფესიული სტანდარტები და საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების სარეკომენდაციო ჩარჩო არ არის საკმარისად დეტალური;
- ▶ საქართველოში ამჟამად გამოყენებული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება არ ეფუძნება რაიმე სტანდარტულ მეთოდოლოგიას, რომელსაც სხვა ქვეყნებიც იყენებენ.

15

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება საქართველოში

- ▶ საგანმანათლებლო პროგრამების ძირითადი შემადგენელი ელემენტები არ არის სტანდარტიზებული, როგორცაა: სწავლების შედეგები, შეფასების კრიტერიუმები და შეფასების მიდგომა
- ▶ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები ამ საკითხს აღიქვამენ როგორც ხელის შემშლელს, როგორც პროგრამების შემუშავების პროცესში, ასევე სწავლების დასრულების შემდეგ სტანდარტული კვალიფიკაციების მიღწევაში

16

. .5

- ▶ პროფესიულ სტანდარტებში მოცემული სწავლის შედეგები არ არის დეტალური;
- ▶ დეტალური სახელმძღვანელო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის თუ როგორ უნდა ითარგმნოს პროფესიული სტანდარტები სასწავლო გეგმაში არ არის ხელმისაწვდომი.

17

. . .6

- ▶ რადგან სწავლების შედეგები არ არის საკმარისად დეტალური, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს უჭირთ როგორც საგნების შერჩევა სასწავლო გეგმისათვის, ასევე მათი გამოთვლა კრედიტებში
- ▶ მათ მოსაზრებით, სასწავლო გეგმის გარკვეული ნაწილი სასურველია იყოს მეტნაკლებად სტანდარტიზებული, მაგალითად, სასწავლო გეგმაში ყველასათვის სავალდებულო ძირითადი საგნების შეტანა

18

ძირითადი რეკომენდაციები

- ▶ არსებული სასწავლო პროგრამების შემუშავების მეთოდოლოგია / პრაქტიკა უნდა შეფასდეს იმის დასადგენად, თუ რამ იმუშავა კარგად და რა უნდა შეიცვალოს ან /და გაუმჯობდეს;
- ▶ მნიშვნელოვანია სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმების შემდგომი განვითარებისა ხელშეწყობა სწავლების დასრულების შემდეგ სტანდარტული კვალიფიკაციების უზრუნველსაყოფად;

19

. .2

- ▶ მნიშვნეოვანია საჭიროებების შესწავლა და პროფესიული საგანმანათლებლო ინსტიტუტების უზრუნველყოფა შესაბამისი ტრენინგებით/სემინარებით როგორც პროგრამების/სილაბუსების შემუშავების, ასევე მათი დანერგვის შესახებ;
- ▶ რეკომენდირებულია პროგრამების შემუშავების წარმატებული პრაქტიკის გამოვლენა, შესწავლა და გავრცელება;
- ▶ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის ინფორმაციისა და წარმატებული პრაქტიკის გაცვლის მხარდაჭერა კურიკულუმის შემუშავებისა და დანერგვის საკითხებზე.

20

გმადლობთ
ყურადღებისათვის!

21

დანართი2

**ავტორიზაციისა და აკრედიტაციის შედეგები პროფესიულ განათლებაში
(2010 – 2012)**

საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების (ცვლილებები „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი) შედეგად 2010 წლის 1 სექტემბრიდან პროფესიული განათლება გახდა ხუთსაფეხურიანი. დამტკიცდა ”ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო”.

პროფესიული კვალიფიკაციების აღმწერი:

I საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელს შესწევს თავისი მოვალეობების ერთგვაროვან სიტუაციებში მეთვალყურეობით შესრულების უნარი;

II საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელს შესწევს თავისი მოვალეობების გარკვეული დამოუკიდებლობით შესრულების უნარი;

III საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელს შესწევს უნარი, განსხვავებულ სიტუაციებში შეასრულოს თავისი მოვალეობები და ადეკვატურად იმოქმედოს წარმოშობილი პრობლემების გადასაწყვეტად;

IV საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელს შესწევს უნარი, პროფესიული ცოდნა გამოიყენოს ცვალებად სიტუაციებში წარმოშობილი პრობლემების გადასაწყვეტად, ზედამხედველობა გაუწიოს სხვების საქმიანობას და აიღოს გარკვეული პასუხისმგებლობა შესრულებული სამუშაოს შეფასებასა და გაუმჯობესებაზე;

V საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელს შესწევს უნარი, შეასრულოს ისეთი სამუშაო, რომელიც მოითხოვს სხვათა სამუშაოს დაგეგმვასა და ხელმძღვანელობას, ასევე განხორციელებული სამუშაოს შეფასებასა და სრულყოფას.

ავტორიზაცია/აკრედიტაციის პროცესის განხორციელების საკანონმდებლო ბაზა:

- 1) „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- 2) „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- 3) „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №121/ნ ბრძანება (10.12.2010);
- 4) „არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პირობებისა და

წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №8/ნ ბრძანება (3.02.2011);

- 5) „პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის წესისა და ჩასარიცხად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტების ნუსხის დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №9/ნ ბრძანება(3.02.2011);
- 6) „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N120/ნ ბრძანება 10.12.2010);
- 7) „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანება;
- 8) საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანება;

განათლების ხარისხის განვითარების მექანიზმები:

განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობა ხდება შიდა და გარე მექანიზმების საშუალებით.

განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის გარე მექანიზმებია ავტორიზაცია და აკრედიტაცია.

განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის შიდა მექანიზმები ხორციელდება საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ავტორიზაცია:

ავტორიზაცია არის საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების პროცედურა, რომლის მიზანია სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გასაცემად შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი სტანდარტების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა.

ავტორიზაციის სტანდარტებია:

- ა) საგანმანათლებლო პროგრამები;
- ბ) მატერიალური რესურსი;
- გ) ადამიანური რესურსი.

აკრედიტაცია:

აკრედიტაციის მიზანია აკრედიტაციის სტანდარტებთან საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის განსაზღვრის გზით, განათლების ხარისხის ასამაღლებლად საგანმანათლებლო დაწესებულების სისტემატური თვითშეფასების დამკვიდრება და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარების ხელშეწყობა, ასევე სახელმწიფო დაფინანსების მიღება

აკრედიტაციის სტანდარტებია:

- ა) საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა;
- ბ) სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა;
- გ) მოსწავლეების/სტუდენტების მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა;
- დ) სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა;
- ე) სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.

თვითშეფასება:

ავტორიზებული დაწესებულება ვალდებულია, ცენტრს ყოველწლიურად, პირველი მაისიდან 30 ივნისამდე, წარუდგინოს თვითშეფასების წლიური ანგარიში.

საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს აკრედიტებულ პროგრამას/პროგრამებს, ვალდებულია, ცენტრს ყოველწლიურად, პირველი მაისიდან 31 მაისის ჩათვლით წარუდგინოს აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესაძლებლობა:

დაწესებულებას აქვს უფლება, განახორციელოს ის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რომელზეც დაწესებულებამ მიიღო თანხმობა:

- 1) ავტორიზაციისას;
- 2) აკრედიტაციისას;
- 3) თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენისას;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი სუბიექტები:

- ა) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები;

- ბ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- გ) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- გ.ა) პროფესიული კოლეჯი;
- გ.ბ) საზოგადოებრივი კოლეჯი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებს დღეისათვის ახორციელებენ:

- ა) ავტორიზებული სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯები - 4;
- ბ) 2013-2014 სასწავლო წლის დაწყებამდე ავტორიზებულად ჩათვლილი სახელმწიფო პროფესიული კოლეჯები - 15;
- გ) 2013-2014 სასწავლო წლის დაწყებამდე ავტორიზებულად ჩათვლილი კერძო პროფესიული კოლეჯები - 24;
- დ) ავტორიზებული კერძო პროფესიული კოლეჯები - 7;
- ე) ავტორიზებული კერძო საზოგადოებრივი კოლეჯები - 25;

სულ: 75

- ვ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება: 24;
- ვ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება: 6;

სულ: 30

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება:

ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია განხორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ავტორიზაციის საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატება:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატება განხორციელდა რამდენიმე ეტაპად.

- 1) 2010 წლის თვითშეფასების ანგარიში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით უმაღლესმა, პროფესიულმა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებმა საჯარო სამართლის იურიდიულ პირ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2011 წლის 1 თებერვლისათვის წარმოადგინეს. საერთო ჯამში 1000-ამდე პროგრამამ თანხმობა მიიღო საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე. 500 პროგრამა ცენტრის წერილობითი თანხმობით იქნა განხორციელებული.

- 2) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების მეორე ეტაპი განხორციელდა ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის დროს- 2011 წლის მაის-ივნისში.
- 3) 2011 წლის ზაფხულში გადამოწმებულ იქნა ის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც 2013-2014 წლამდე ჩაითვალნენ ავტორიზებულ დაწესებულებებად. 80-მდე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებიდან 44-მა გააგრძელა საქმიანობა. დაწესებულებების ნაწილმა თავად მოითხოვა ავტორიზაციის გაუქმება საქმიანობის შეწყვეტიდან გამომდინარე, ხოლო ნაწილს ავტორიზაცია გაუუქმდა სტანდარტებთან შეუსაბამობის გამო.
- 4) პარალელურად მიმდინარეობდა ახალი დაწესებულებების ავტორიზაციის პროცესი, 2011 წლიდან დღემდე 32-მა პროფესიულმა და 6-მა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ გაიარა ავტორიზაცია და მიიღო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლება.

უნდა აღინიშნოს, რომ ხარვეზი აღმოჩნდა დაწესებულებების გადამოწმების პროცესში, ძირითად კი ეს ეხებოდა საგანმანათლებლო პროგრამებს და მატერიალურ რესურსს. საგანმანათლებლო პროგრამების ნაწილში შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ ავტორიზებულად ჩათვლილი პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესი ძირითადად არ იყო განახლებული და პროგრამები არ იყო შედგენილი კრედიტების სისტემის შესაბამისად.

ავტორიზაციის ვიზიტების საფუძველზე ჩატარებულმა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის მართვის სისტემების ანალიზმა გვიჩვენა, რომ დაწესებულებების უმრავლესობაში არსებობს მსგავსი ხასიათის პრობლემები.

პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები

ავტორიზაციის სტანდარტების აღნიშნული მოთხოვნები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვინაიდან სწორედ ისინი განაპირობებენ პსდ-ს მომავალ განვითარებას, მის მდგრადობას, კონკურენტუნარიანობას.

მიუხედავად იმისა, რომ პსდ-მა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგეს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ჩამოყალიბების მიმართულებით, დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, პროფესიული განათლების დაფინანსების ახალი წესის შემოღებით მძაფრი კონკურენციის პირობებში, მათ მოუწევთ მუშაობის გაძლიერება, რათა არამარტო დააკმაყოფილონ ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნები,

არამედ შექმნან ხარისხზე ორიენტირებული ეფექტური მართვის სისტემა. მნიშვნელოვან პრობლემად შეიძლება ჩაითვალოს დაწესებულების წარმომადგენლებისა და დამსაქმებლების ურთიერთობა, რაც პროგრამის შექმნის, მისი გაუმჯობესებისა და დაგეგმვის პროცესში ნაკლებად გამოიყენება.

ავტორიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებების უმრავლესობაში მნიშვნელოვან პრობლემას ვაწყდებით სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების პროცესში. დაწესებულებებს ნაკლებად გააჩნიათ სასწავლო ბაზა, სადაც მნიშვნელოვანწილად შეიძლება პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება.

არსებობს ხარვეზები საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებასა და ზრდასთან დაკავშირებულ საკითხებში. რისი აღმოფხვრაც ნაკლებად ხდება დაწესებულებებში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია 2011 წლის ბოლოს დაიწყო. ამ ეტაპისთვის მხოლოდ რამდენიმე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები არის აკრედიტებული. სულ აკრედიტაცია გაიარა ოცდაერთმა პროფესიულმა საგანმანათლებლო პროგრამამ.

განსაკუთრებით საინტერესო გახლავთ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვისა და არაფორმალური განათლების აღიარების საკითხი. მიმდინარეობს არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პროცედურების გამარტივების შესახებ მუშაობა. საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ურთიერთობამ, აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესმა აჩვენა, რომ დაწესებულებათა უმრავლესობას არ აქვს გააზრებული არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პროცედურები და მნიშვნელობა, რისთვისაც ცენტრმა დაწესებულებების წარმომადგენლების თანამონაწილეობით შეიმუშავა შესაბამისი რეკომენდაციები, რომელიც დამტკიცდება ცენტრის დირექტორის აქტით.

ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი კონსტანტინე ჩოკორაია.